აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აფხაზეთის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აფხაზეთის კანონში (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №4, 30.11.2004 წ., მუხლი 7) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

აფხაზეთის მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარის, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ხელმძღვანელებისაგან, მათ შორის, აფხაზეთის მინისტრებისაგან.“.

2. კანონის მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილებები განისაზღვრება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მიერ.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **რუსლან აბაშიძე**

3 მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

N19 - ს